პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება # ---

სექტემბერი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე არტოს ბაღისთვის კომპოზიტორის, საზოგადო მოღვაწის გია ყანჩელის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე არტოს ბაღს მიენიჭოს კომპოზიტორის,საზოგადო მოღვაწის გია ყანჩელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #64).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

ბია ყანჩელის სახელობის
პარკის ბაღი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

CHAIRMAN OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0320255101**
თარიღი: **11/09/2020**
პინი: **8441**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ ინიციატივით, განხილული იქნეს საკითხი, ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე არტოს ბაღისთვის კომპოზიტორის, საზოგადო მოღვაწის გია ყანჩელის სახელის მინიჭების შესახებ.

დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი:**03-032025544**
თარიღი: **11/09/2020**

ადრესატი:

გიორგი ტყემალაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, 2 ოქტომბერს ერთი წელი შესრულდება ლეგენდარული კომპოზიტორის, გია ყანჩელის გარდაცვალებიდან. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ დაახლოებით ერთი წლის წინ გააჟღერა ინიციატივა, ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის გია ყანჩელის სახელის მინიჭების თაობაზე.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ გია ყანჩელი დაიბადა და სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა ჩუღურეთის რაიონში, ტოვსტონოგოვის ქუჩაზე. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ მიიჩნია, რომ კომპოზიტორის სახელი უნდა მიენიჭოს ე.წ. „არტოს" ბაღს, ვინაიდან ყანჩელის ცხოვრება და მოღვაწეობა პირდაპირ უკავშირდება ჩუღურეთს, ხსენებულ ბაღს და მიმდებარე ქუჩებს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის დადგენილება №14-59-ის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწესთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, თუმცა ამავე მუხლში განმარტებულია გამონაკლისი შემთხვევები, რომლითაც თქვენ, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გაქვთ ინიცირების უფლება.

არსებული წესიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, თქვენი ინიცირების საფუძველზე განვიხილოთ:

- ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე არტოს ბაღისთვის კომპოზიტორის, საზოგადო მოღვაწის გია ყანჩელის სახელის მინიჭების საკითხი

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე